სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 84

2023 წლის 29 მაისი

ქ. თბილისი

2023 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი საგრანტო პროექტების მოხსნის შესახებ

"ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 13 ოქტომბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის, „2022 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ" სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2023 წლის 2 მარტის N21 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის 2023 წლის 29 მაისის სამსახურებრივი ბარათის (N606163) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. 2023 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსიდან კონკურსის პირობებთან შეუსაბამობის გამო, მოიხსნას საგრანტო პროექტები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვერგვერდზე.
3. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64).

ერეკლე ასტახიშვილი

დანართი N2
დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2023 წლის 29 მაისის N84 ბრძანებით

2023 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსიდან

მოხსნილი პროექტები

№	პროექტის შიფრი	მასპინძელი დაწესებულება	კონკურსიდან მოხსნის მიზეზი
1	YS-23-1943	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	დარღვეულია ფონდის გენერალური დირექტორის 2023 წლის 2 მარტის №21 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მე-2 მუხლის მე-7 პუნქტი. ახალგაზრდა მეცნიერს 2023 წლის 27 აპრილის მდგომარეობით აქვს ამავე კონკურსით დაფინანსებული მიმდინარე პროექტი
2	YS-23-242	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	მენტორის სამსახურის ცნობასთან მიმართებით დადგენილი ხარვეზისა (ფონდის გენერალური დირექტორის 2023 წლის 2 მარტის №21 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მეხუთე მუხლის, მე-2 პუნქტის გ ქვეპუნქტი) და კანცელარიაში წარმოდგენილი განცხადების (ფონდის გენერალური დირექტორის 2023 წლის 2 მარტის №21 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მეოთხე მუხლის მეორე პუნქტი) მიმართ დადგენილი ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად საკითხი დარჩა განუხილველი
3	YS-23-249	სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	მენტორის სამსახურის ცნობასთან მიმართებით დადგენილი ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო (ფონდის გენერალური დირექტორის 2023 წლის 2 მარტის №21 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მეხუთე მუხლის, მე-2 პუნქტის გ ქვეპუნქტი) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად საკითხი დარჩა განუხილველი